პროლეტარებო ყველა ეროვნებისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 221 (18763) კვირა, 25 სექტემბერი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

საკარმიდამო ზვრებიდან — სახელმწიფო მარანში!

გამუდმებულმა წვიმებმა და სეტყვამ წლეულს განსაკუთრებით კახეთის რაიონების ზვრები დაზიანა და, ცხადია, ყურძნის მოსავლიანობამაც შესამჩნევად იკლო. საზოგადოებრივ თუ საკარმიდამო ზვრებს მევენახეებმა გარჯა და ზრუნვა, შეილვით მოვლა-პატრონობა არ მოაკლეს, მაგრამ ზარალი მაინც დიდია და რესპუბლიკაში ყურძნის დამზადების გეგმის შესრულება საფრთხეშია.

ასეთ დროს, ტრადიციულად, საქართველოს სოფლის მშრომელები ერთსულოვნად დავირაზმებით ხოლმე, რომ საკარმიდამოდან მაქსიმალური რაოდენობის ყურძენი მივყიდოთ სახელმწიფოს.

ხანდაზმული კაცი ვარ, ნაფარეულის საბჭოთა მეურნეობაში დიდი ხანია ვმეშაობ, მაგრამ ასეთ ავდრებს არ მოსწრებივარ. სეტყვამ რამდენჯერმე გაანადგურა ზვრები, მერე კი წვიმებმა საშუალება არ მოგვცა დროულად შეგვწამლა, გაგვეფურჩნა და აგვეხვია ვაზი. ასევე იყო საკარმიდამო ვენახებშიც, მაგრამ მონდომებამ და ვაზის სიყვარულმა თავისი გაიტანა — მოსავლის შესანარჩუნებლად გაწეული შრომა დაგვიფასდა და ახლა მთავარია, რაც შეევინარჩუნეთ, უკლებლივ მოვკრიფოთ და მივიტანოთ სახელმწიფო მარანში.

პირადად მე წინა წლებში საკარმიდამო ვენახიდან სახელმწიფოს 8-10 ტონა ყურძენს მივყიდდი ხოლმე და სამაგიეროდ კარგ ანაზღაურებასაც ვიღებდი. წელსაც კარგად მოვუარე ვენახს, მაგრამ უამინდობის გამო 3-3,5 ტონაზე მეტს ვერ მოვიწევ. ვიცი, კარგად ვიცი, რომ სწორედ ახლაა საჭირო საკუთარი წვლილი შევიტანოთ სახელმწიფო გეგმის შესრულების საქმეში. ამიტომ ვალდებულებას ვკისრულობ, რომ საკარმიდამოდან სახელმწიფოს მაქსიმალური რაოდენობის ყურძენი მივყიდო. ამასთან მოვუწოდებ ჩემს თანამოსაქმეებს, სოფლის ყველა მშრომელს, ვისაც კი ვენახი აქვს, მაქსიმალური ყურძენი მიჰყიდონ სახელმწიფოს და ამით თავიანთი პატრიოტული ვალი ისე მოიხადონ, როგორც ჩვენს ქვეყანას, ჩვენს საქართველოს ეკადრება. ახლა, კიდევ ერთხელ გამოჩნდება, ვინ არის პატრიოტი და ვინ არა!

მეტი ყურძენი საკარმიდამო ზვრებიდან — სახელმწიფო მარანში! —ასეთია ჩვენი მოწოდება.

იორამ გაუარაშვილი,
თელავის რაიონის ნაფარეულის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

მევენახე იორამ გაუარაშვილის კატრიოტული ინიციატივა

რედაქციისაგან:

შესანიშნავი თაოსნობა გამოიჩინა ნაფარეულელმა მეზვრე კაცმა. იმედი გვაქვს, ამ პატრიოტულ თაოსნობას ერთსულოვნად დაუჭერენ მხარს სოფლის მშრომელები და საპატიო წვლილს შეიტანენ ყურძნის დამზადების საქმეში.

მევენახეობის რაიონების პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები ამ თაოსნობას მთელი სერიოზულობით უნდა მოეკიდონ, ფართო აგიტაცია უნდა გაუწიონ, რათა საკარმიდამო ზვრებში მოწეული ყურძენი მაქსიმალური რაოდენობით მიჰყიდონ სახელმწიფოს. ამასთან მორალურად უნდა წაახალისონ და მატერიალურად დაინტერესონ ის მშრომელები, რომლებიც საკარმიდამო ვენახებიდან მეტი რაოდენობის ყურძენს მიჰყიდიან სახელმწიფოს.

ემჯი არ არის, რომ ჩვენი რესპუბლიკის მევენახეები ამჯერადაც პრაქტიკულად გამოიხმაურებიან იორამ გაუარაშვილის პატრიოტულ ინიციატივას და თავიანთ საკარმიდამო ნაკვეთზე მოწეულ ყურძენს მაქსიმალურად მიჰყიდიან სახელმწიფოს.

ჯერი თქვენზეა ქვირფასო მევენახეებო!

უპატაკებენ სამშობლოს

სამტრედიის რაიონის მშრომელებმა 21 სექტემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური ვალდებულება. საგეგმო 3 ათასი და ვალდებულებით ნაკისრი 3200 ტონის ნაცვლად მოკრეფილია 3215 ტონა ჩაის ფოთოლი, რომლის პირველი ხარისხი 71 პროცენტს შეადგენს. ჩაის ფოთლის კრეფა გრძელდება.

ასევე გადაჭარბებით შესრულდა სახელმწიფოსათვის ხილის მიყიდვის გეგმა-ვალდებულება. 5700 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიეყიდა 6100 ტონა ხარისხოვანი ხილი. მეხილეებმა ახალი გადიდებული ვალდებულება იკისრეს, რომ დამზადონ და სახელმწიფოს მიყიდონ 1.500 ტონაზე მეტი ხილი.

ეს რედაქციას აცნობეს საქართველოს კომპარტიის სამტრედიის რაიკომმა, რაისაბჭოს აღმასკომმა და აგროსამრეწველო გაერთიანებამ.

ზესანიშნავი ინიციატივა ჩაუყარეს საფუძველი ბაღანისის, ბურნოს, ბოლნისის, ბაზალეთის, ბაბანეულის, ბანოვანის, ბაბანეულის, ბანოვანის, ბაბანეულის, ბანოვან

მანქანათმშენებლები ზრდიან წარმოებას

ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხანა რესპუბლიკის ერთ-ერთი უძველესი საწარმოა. მის ტერიტორიაზე წინათ განლაგებული იყო რამდენიმე ყაზარმული ტიპის შენობა, რომლებშიც ორიოდე მოძველებული ჩარხი იდგა. ეს იყო ოცდაათიან წლებში.

ფლეს ძველი ქარხნიდან მხოლოდ მოგონება დარჩა. აშენდა ვეფხ კორპუსები, შემოვიდა რკინიგზა, დამონტაჟდა თანამედროვე ტექნიკა და დაინერგა სრულყოფილი ტექნოლოგია. საწარმოს დანიშნულება ყოველწლიურად იზრდება. მარტო ის რა მრავლისმომცველია, რომ ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხანა ჩვენს ქვეყანაში ერთადერთია, რომელიც ჩაის ფაბრიკების სრულ აღჭურვილობას უშვებს. ბათუმური დანადგარები შეუფერხებლად მუშაობენ საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებში, კრასნოდარის მხარეში, ვიეტნამში...

პარტიამ და მთავრობამ ბათუმელ მანქანათმშენებლებს ამოცანად დაუსახეს ჩაის ფაბრიკების რაც შეიძლება მეტი აღჭურვილობა გამოუშვან. საამისოდ მეთერთმეტე და მეთორმეტე ხუთწლედებში დაგეგმილია ქარხნის რეკონსტრუქცია-გაფართოება, რის შემდეგ მისი მწარმოებლობა ორჯერ გაიზრდება. ეს იმას ნიშნავს, რომ ქარხანა 32 მილიონი მანეთის პროდუქციას დაამზადებს.

არავის ეგონოს, თითქოს ბათუმელი მანქანათმშენებლები მხოლოდ ჩაის ფაბრიკებს მოწყობილობას უშვებდნენ. საწარმო ჩვენი ქვეყნის ღვინისა და საკონსერვო მრეწველობას აწვდის 40 სახეობის მანქანას, რომელთაგან ბევრი საექსპორტო დანიშნულებისაა. აქაურ მანქანებს იღებენ მონღოლეთის, კუბის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სხვა ქვეყნები.

მართალია ყოველი ახალი მანქანისა და ავტონომიური ხაზის ათვისება სიძნელეებს გადალახვას მოითხოვს, მაგრამ ბათუმელი მანქანათმშენებლები ამ ამოცანას წარმატებით ართმევენ თავს. წლეულს მათ გამოუშვეს გამომგონებლების გ. ცინცაძისა და ლ. ლაზიშვილის მიერ დაპროექტებული ჩაის გადამშუშავებელი უწყვეტი ხაზი, სახელმწიფო კომისიას წარუდგინეს ბავშვთა კვების პროდუქტების დამამზადებელი და ღვინის ნარჩენების დასამუშავებელი ხაზები. მეოთხე კვარტალში დაამზადებენ და სერიულად გამოუშვებენ ჩაის საშრობ მანქანებს. მალე აქ აგურა ჩაის მისაღებ ხაზებსა და ხილ-ბოსტნეულის შესაწამლი მანქანების გამოშვებასაც აითვისებენ.

ბათუმელ მანქანათმშენებლებს ეკუთვნით შესანიშნავი წამოწყება — ყოველი კვადრატული მეტრი საწარმოო ფართობიდან მაქსიმალური პროდუქციის მიღება. როგორც ცნობილია, ეს თანსონობა მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და დაინერგა რესპუბლიკის თითქმის ყველა საწარმოში, რასაც დიდი ეკონომიკური ეფექტი მოჰყვა. საერთო თავდადებით უნდა აიხსნას ის, რომ, თუკი 1980 წელს წარმოების საერთო მოცულობაში სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი პროდუქციის ხვედრითი წილი 10,5 პროცენტს შეადგენდა, 1982 წელს ეს ციფრი 64,5 პროცენტამდე გაიზარდა. სწორედ ასეთი შედეგებისთვის 1983 წლის აპრილში საწარმო დაჯილდოდდა საკავშირო პროფსაბჭოსა და სახელმწიფო სტანდარტების კომიტეტის დიპლომით. მიმდინარე წლის განვლილ 8 თვეში გეგმის გადამეტებით წარმოებულია 2.200 ათასი მანეთის საპატიო ხუთკუთხედიანი პროდუქცია.

ქარხნის წარმატებებში დიდი წვლილი შეაქვთ ცალკეულ საამქროებს, უბნებს, ბრიგადებს. ჯერჯერობით პირველობას არავის უთმობს საქვაბე-საშემდუღებლო საამქრო, რომელსაც სათავეში უდგას ი. დოლოძე. გ. მელქაძის ბრიგადა მთელ პროდუქციას ხარისხის ნიშნით უშვებს. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, ხარატმა ვ. დოლოძემ თავდადებული შრომით საქვეყნოდ გაითქვა სახელი, ქარხანა მისთვის მართლა მეორე ოჯახი გახდა. მისი აღზრდილები ახლა თვითონ არიან აღმზრდელები და დამრიგებლები. როგორ არ შეგაქოთ რაციონალიზატორი გურამ ბაეუნაშვილი, რომლის წინადადებაც წლეულს დაინერგა და საწარმოს 19 ათას მანეთს უზოგავს. მრავალი წინადადების ავტორია თ. ვასაძე და სხვები.

საწარმოს მთავარ საბრძოლო ამოცანად რჩება ფილიალების გაფართოება და მეთაური საწარმოს გენერალური რეკონსტრუქცია. შემუშავებულია მიმდინარე და მეთორმეტე ხუთწლედების საწარმოო სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმა. ქ. გალში ფილიალის გაფართოება დამთავრდება 1985 წელს, რის შემდეგ მისი სიმძლავრე მიაღწევს 3 მილიონ მანეთს. სამჯერ გაიზრდება ქედის ფილიალის სიმძლავრეც. 15 მილიონი მანეთია გამოყოფილი ბათუმის ქარხნის რეკონსტრუქცია-გაფართოები ს ა თ ვ ი ს. მწყობრში ჩადგება ახალი ქვესადგური, საქვაბე, ჟანგბადის სადგური და სამსხმელო საამქრო. მალე საექსპლოატაციოდ გადაეცემა 100-ბინიანი საცხოვრებელი სახლი, ხოლო მომავალ წელს დაიწყება 200-ბინიანი საცხოვრებელი სახლისა და საბავშვო ბაღის მშენებლობა.

უახლოეს წლებში ტექნიკისა და ტექნოლოგიის სრულყოფის არაერთი ღონისძიება განხორციელდება, რაც კიდევ უფრო გაზრდის ქარხნის მწარმოებლობას, აამაღლებს პროდუქციის ხარისხს.

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.



მაღალი შრომითი მაჩვენებლებით აღნიშნავს თავის პროფესიულ დღესასწაულს ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივი. მნიშვნელოვნად გაიზარდა პროდუქციის მოცულობა საწარმოო ფართობის თითოეულ კვადრატულ მეტრზე, საწარმოს ყოველი მეორე ნაწარმი აღნიშნულია სახელმწიფო ხარისხის ნიშნით. წლის დამლევისათვის საპატიო ხუთკუთხედი მიენიჭება ჩაისა და კონსერვის ორ ახალ ნაკადურ ხაზს.

სურათზე: საშტამპავი უბნის ბრიგადის ხელმძღვანელი კომუნისტი ბიძინა შაფათავა, რომელმაც სამშობლოს უპატაჟა წლიური გეგმის შესრულება; საზღვარგარეთის ქვეყნებისათვის განკუთვნილ მოწყობილობას აწყობენ ანზორ ხინთიბიძე, ზურაბ მიქელაძე, ბრიგადირი იაგორ ხავერდოვი და გრიგოლ თუმასიანი.

ნ. ანასტასიევის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ბრიგადულ იჯარას — ფართო გზა!

სილნაღი. (საკ. კორ.). გაიმართა რაიონის პარტიული და სამეურნეო აქტივის თათბირი, რომელმაც მოიწონა რაიონის მთელი რიგი საწარმოების — „სოფლტექნიკის“ რაიონული გაერთიანების, იორწყალმშენის, ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების და სხვათა ინიციატივა უგანრიგო ბრიგადული წესით მუშაობის შესახებ, განაზოგადა მათი გამოცდილება.

ბრიგადულ იჯარაზე მომუშავე კოლექტივების პირველი შედეგების შესახებ თათბირზე მოხსენებანი გააკეთეს პარტიის რაიკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგემ დ. პოპიაშვილმა და კახეთის საცდელი სადგურის დირექტორმა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა ვ. ქევხიშვილმა.

თათბირის მუშაობა შეაჯამა საქართველოს კომპარტიის სილნაღის რაიკომის პირველმა მდივანმა თ. ქევხიშვილმა.

• •

მრავალშვილიანი ოჯახის სიხარული

ამ დღეებში რესპუბლიკის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს „სოფლმშენინდუსტრიის“ ტრესტის მოწინავე მუშას, მრავალშვილიანი ოჯახის მამას არჩილ გულუას რესპუბლიკის სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ საჩუქრად გადასცა „მოსკვიჩ-412“ მარკის ავტომობილი. ეს საჩუქარი გულუას ოჯახს პირველმა მიუსალცა მინისტრმა ი. ხარატიშვილმა.

ცხრა ვაჟი და ხუთი ქალიშვილი ჰყავთ ზუგდიდელ არჩილ და თინა გულუებს. უფროსი მაყვალა ამას წინათ თვითონ გახდა დედა. ქმართან ერთად მას მოჰყავს ჩაი და სიმინდი მეზობელი, ჩხოროწყუს რაიონის სოფელ კირცხის კოლმეურნეობაში. მურთაზი საბჭოთა არმიის რიგებში მსახურობს. ქორდიკო გათხოვილია გალის რაიონის სოფელ ბარღებში, ისიც მეჩაიეა. რომანი მამის კვალს გაჰყვა: საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მშენებლის პროფესია აირჩია. გულუების ხუთი შვილი სკოლაში სწავლობს: ოთხი — სკოლამდელი ასაკისაა. და-ძმები მეგობრულად ცხოვრობენ, ეხმარებიან მშობლებს შინ, უფროსები უვლიან უმცროსებს.

რამდენიმე წლის წინათ თინა გულუას „გმირი დედის“ წოდება მიენიჭა. სახელმწიფო დახმარებას უწევს მრავალშვილიან ოჯახს. იგი განთავისუფლებულია კომუნალური მომსახურების ქირისაგან. სოფელ ახალი აბასთუმნის კოლმეურნეობა, რომლის ჩაის პლანტაციებში შრომობს თინა, ოჯახს სურსათთაც უზრუნველყოფს.

უახლოეს დროს რესპუბლიკის სასოფლო მშენებლობის სამინისტრო გულუების ოჯახს აუშენებს ახალ კეთილმოწყობილ ორსართულიან სახლს, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს მინისტრმა ი. ხარატიშვილმა.

უკანასკნელ წლებში საქართველოში მომრავლდა მრავალშვილიანი ოჯახები. 1500-ზე მეტი ქალი ატარებს „გმირი დედის“ წოდებას. ერთ-ერთი მათგანი — მარგო ჩიქვანაია — სოციალისტური შრომის გმირიც არის.

დ. გიწაძე.

ეძღვნება ქმოგის მანიფესტს

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს მიეძღვნა თეორიული კონფერენცია ბათუმში, იგი მოაწყვეს საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტმა და გაზეთ „კომუნისტის“ redაქციამ.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატმა, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პაპუნიძემ.

გეორგიევსკის ტრაქტატის ისტორიული მნიშვნელობის შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანმა ნ. გუგუნავამ.

კონფერენციაზე გამოვიდნენ გაზეთ „კომუნისტის“ მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის განყოფილების გამგე რ. დვალიშვილი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი დ. ხახუტაიშვილი და სხვები.

გეორგიევსკის ტრაქტატმა და ისტორიული მოვლენების შემდგომმა განვითარებამ, თქვეს კონფერენციის მონაწილეებმა, გადამწყვეტი როლი შეასრულეს საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ნაწილის — აჭარის ოსმალეთის უღლისაგან განთავისუფლებაში.

ერთ-ერთი პირველი, ვინც აქტიური მოღვაწეობა დაიწყო აჭარის განთავისუფლებისა და საქართველოსთან მისი შეერთებისათვის, იყო ქართველი პატრიოტი სელიმ ხიმშიაშვილი.

უკვე მეცხრამეტე საუკუნის დამლევისათვის აჭარის დედაქალაქი ბათუმი ხდება ამიერკავკასიის მესამე პროლეტარული ცენტრი, სადაც შეიქმნა სოციალური ბაზა მარქსიზმის გავრცელებისათვის, რუსმა და ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა დააარსეს პირველი მარქსისტული წრე. „ლენინური „ისკრა“ რუსეთის ყველა პროლეტარიასთვის სანმეშო მაგალითად მიიჩნევდა ბათუმის რევოლუციურ მოვლენას — 1903 წლის 9 მარტის მუშათა დემონსტრაციას.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ დიდმა ოქტომბერმა, საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ უზრუნველყვეს ახალი წყობილების გამარჯვება აჭარაში, მისი ეკონომიკისა და კულტურის სრული აყვავება.

განვლილი სამოც წელზე მეტი ხნის მანძილზე აჭარამ, სადაც ერთად ცხოვრობენ და შრომობენ ოთხმოცზე მეტი ერისა და ეროვნების წარმომადგენლები, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისეთ დონეს მიაღწია, რომელსაც სხვა პირობებში საუკუნეები დასჭირდებოდა.

კონფერენციის მონაწილეებმა მაღალი შეფასება მისცა გაზეთ „კომუნისტის“ დიდ მუშაობას რესპუბლიკის მშრომელთა ინტერნაციონალური და პატრიოტული აღზრდისათვის.

თეორიული კონფერენციის მუშაობის შედეგები შეაჯამა ვ. პაპუნიძემ. (საქინფორმი).

XIX და XX საუკუნეთა მიჯნაზე მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ცენტრმა დასავლეთ ევროპიდან რუსეთში გადმოინაცვლა. ბურჟუაზიულ-მემამღვლური

პირველი რუსული მარქსისტული ორგანიზაციის „პირველი განთავისუფლების“ ჯგუფის 100 წლისთავი

მარქსისტთა მთელი თაობის აღმზრდელი

ყოფილების წინააღმდეგ მზარდი რევოლუციური ბრძოლის წარმატებით განვითარების ინტერესები მოითხოვდა სწორ რევოლუციურ თეორიას. ასეთი ერთადერთი სწორი რევოლუციური თეორია იყო მარქსიზმი, რომელსაც ხარბად ეწაფებოდნენ რუსეთის რევოლუციურად განწყობილი ინტელიგენციის წარმომადგენლები.

მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლების კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ცალკეული ნაწარმოებები რუსეთში აღწევდნენ გასული საუკუნის ჯერ კიდევ 40-იან წლებში, ხოლო შემდეგში მარქსიზმის გავრცელების პროცესი თანდათანობით უფრო ინტენსიური ხდება. ფ. ენგელსი ფ. ზორგესადმი 1880 წლის 5 ნოემბერს გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა: „...რუსეთში, სადაც „კაპიტალს“ უფრო მეტად კითხულობენ და აფასებენ, ვიდრე სადმე სხვაგან, ჩვენი წარმატება კიდევ უფრო დიდია“.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში, დაახლოებით გასული საუკუნის 40-იანიდან 90-იან წლებამდე რუსეთის მოწინავე აზროვნება, უმაგალითოდ მხეცური და რეაქციული ცარიზმის უღელქვეშ, ხარბად ეძებდა სწორ რევოლუციურ თეორიას, განსაცვიფრებლად გულმოდგინედ და ბეჯითად ადევნებდა თვალს ევროპისა და ამერიკის ყველა და ყოველ „უკანასკნელ სიტყვას“ ამ დარგში. მარქსიზმი, როგორც ერთადერთი სწორი რევოლუციური თეორია, რუსეთმა ჭეშმარიტად **ტანჯვით მოიპოვა** გაუგონარი წამებისა და მსხვერპლის, უმაგალითო რევოლუციური გმირობის, წარმოუდგენელი ენერგიისა და თავდადებული ძიების, სწავლის, პრაქტიკაში გამოცდის, იმედგაცრუების, შემოწმების, ევროპის გამოცდილებასთან შედარების ნახევარი საუკუნის ისტორიით“.

ამ ისტორიაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს გ. პლეხანოვს დ. მის მიერ დაარსებულ პირველ რუსულ მარქსისტულ ორგანიზაციას — „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფს, რომელსაც ვ. ი. ლენინმა რუსეთში სოციალ-დემოკრატიის დამაარსებელი უწოდა.

სხვა ნაროდნიკებისაგან განსხვავებით პლეხანოვი დაინტერესებული იყო მუშათა მოძრაობით და აქტიურად მონაწილეობდა პეტერბურგელ მუშებს შორის პროპაგანდისტულ მუშაობაში: ამეცადინებდა მუშათა წრეებს, გამოდიოდა მოხსენებებით მუშათა კრებებზე და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდებდა მათ. 1876 წლის 6 დეკემბერს პეტერბურგში, ყაზანის ტაძრის მოედანზე, გაიმართა რუსეთში პირველი პოლიტიკური დემონსტრაცია მუშათა მონაწილეობით, რომელზეც პლეხანოვმა მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართული ბრწყინვალე სიტყვა წარმოთქვა. ამის შემდეგ დაწყებული რეპრესიების გამო პლეხანოვი იძულებული გახდა გადასულიყო არალეგალურ საქმიანობაზე.

გაძლიერებული რეპრესიების პირობებში გ. პლეხანოვი და მისი ზოგიერთი თანამებრძოლი იძულებული გახდნენ მიეტოვებინათ რუსეთი და წასულიყვნენ ემიგრაციაში საზღვარგარეთ, შეიეცარიაში. აქ გ. პლეხანოვი მჭიდრო კავშირს ამყარებს ჟ. გედთან, კ. კაუცკისთან, ვ. ლიბკნეხტთან და დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიის სხვა მაშინდელ ლიდერებთან. პლეხანოვი ხარბად დაეწაფა მარქსისტულ ლიტერატურას და გაეცნო დასავლეთ ევროპის მუშათა მოძრაობას.

მარქსისტული მოძღვრების ყოველმხრივმა და საფუძვლიანმა შესწავლამ პლეხანოვი საბოლოოდ დაარწმუნა ნაროდნიკული იდეოლოგიისა და ტაქტიკის მცდარობაში, ამტომაც გაწყვეტა ყოველგვარი კავშირი ნაროდნიკობასთან, მტკიცედ დადგა მარქსიზმის პოზიციებზე და რუსეთში მარქსიზმის

ბრძოლა

„შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის დაარსებისა და მისი აქტიური მოღვაწეობის ამბავი, მხურვალედ მიესალმა მას.

კ. ზასულიჩს ფ. ენგელსი სწერდა: „...მე ვამაყობ იმით, რომ რუს ახალგაზრდათა შორის არსებობს ისეთი პარტია, რომელმაც გულწრფელად და მოურიდებლად მიიღო მარქსის დიადი ეკონომიკური და ისტორიული თეორიები, და გადაჭრით გასწყვიტა კავშირი თავისი წინამორბედების ანარქისტულ და რადენადმე სლავიანოფილურ ტრადიციებთან. თვითონ მარქსიც იამაყებდა ამით, ცოტა კიდევ რომ ეცოცხლა. ეს ისეთი პროგრესია, რომელსაც თავისი დიდი მნიშვნელობა ექნება რუსეთის რევოლუციური მოძრაობის განვითარებისათვის“.

გ. პლეხანოვმა ასე ჩამოაყალიბა ჯგუფის წინაშე მდგომი ამოცანები: 1. მეცნიერული სოციალიზმის იდეების გავრცელება რუსეთში კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ნაწარმოებების რუსულ ენაზე გადათარგმნის გზით; 2. რუსეთის რევოლუციონერთა შორის გაბატონებული ნაროდნიკული იდეების კრიტიკა მარქსიზმის პოზიციებიდან და 3. რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხების გაშუქება მარქსიზმის პოზიციებიდან. ამ ამოცანების გადაწყვეტა მაშინდელ პირობებში, როცა რუსეთის რევოლუციური ახალგაზრდობა ჯერ კიდევ „ნაროდნაია ვოლიას“ გმირების მაძაცობითა და თავგანწირვით იყო გაბრუებული, ხოლო მუშათა მოძრაობა ახლად ფეხადგმული და სუსტი იყო, მეტად რთული გახლდათ. პლეხანოვისა და მის თანამებრძოლთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ წარმატებით გაართვეს თავი ამ ამოცანებს.

„შრომის განთავისუფლების“ ჯგუფმა ხელი მოჰკიდა მარქსიზმის კლასიკოსთა ფუნდამენტური შრომების თარგმნას და რუსეთში გავრცელებას. ჯერ კიდევ 1882 წელს გ. პლეხანოვმა თარგმნა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, რომელიც გამოქვეყნდა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ცნობილი წინასიტყვაობით. მას პლეხანოვმა დაურთო აგრეთვე ნაწილი კ. მარქსის „სამოქალაქო ომი საფრანგეთში“ და I ინტერნაციონალის წესდება. „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფმა რუსულ ენაზე თარგმნა და ფართოდ გაავრცელა რუსეთში კ. მარქსის თხზულებები „დაქირავებული შრომა და კაპიტალი“, „სიტყვა ვაჭრობის თავისუფლების შესახებ“, „ფილოსოფიის სიღატაკე“, ფ. ენგელსის „სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ“, „ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული“, „სოციალურ ურთიერთობათა შესახებ რუსეთში“ და ა. შ. ამ უკანასკნელს წინასიტყვაობა დაწერა გ. პლეხანოვმა, ხოლო ბოლოსიტყვაობა სპეციალურად რუსუ ლ ი გამოცემისათვის — ფ. ენგელსმა, რომელშიც საფუძვლიანად არის გაკრიტიკებული „ბლეზური სოციალიზმის“ ნაროდნიკული თეორია და ხაზგასმულია რუსეთის მომავალი რევოლუციის მნიშვნელობა. თუ რამდენად დიდ ყურადღებას უთმობდა ფ. ენგელსი მარქსის, შრომის, „სამოქალაქო ომი საფრანგეთში“ და I ინტერნაციონალის წესდება. „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფმა რუსულ ენაზე თარგმნა და ფართოდ გაავრცელა რუსეთში კ. მარქსის თხზულებები „დაქირავებული შრომა და კაპიტალი“, „სიტყვა ვაჭრობის თავისუფლების შესახებ“, „ფილოსოფიის სიღატაკე“, ფ. ენგელსის „სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ“, „ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული“, „სოციალურ ურთიერთობათა შესახებ რუსეთში“ და ა. შ. ამ უკანასკნელს წინასიტყვაობა დაწერა გ. პლეხანოვმა, ხოლო ბოლოსიტყვაობა სპეციალურად რუსუ ლ ი გამოცემისათვის — ფ. ენგელსმა, რომელშიც საფუძვლიანად არის გაკრიტიკებული „ბლეზური სოციალიზმის“ ნაროდნიკული თეორია და ხაზგასმულია რუსეთის მომავალი რევოლუციის მნიშვნელობა. თუ რამდენად დიდ ყურადღებას უთმობდა ფ. ენგელსი მარქსიზმის კლასიკოსთა შრომების რუსულ ენაზე გამოცემა-გავრცელებას, იქიდანაც ჩანს, რომ როცა მან ვ. ზასულიჩისაგან შეიტყო კ. მარქსის „ფილოსოფიის სიღატაკის“ რუსულ ენაზე თარგმნის ამბავი, 1884 წლის 6 მარტს წერილში ვ. ზასულიჩისადმი აღნიშნა: „ჩემთვის და მარქსის ქალიშვილებისათვის დღესასწაული იქნება ის დღე, როდესაც „ფილოსოფიის სიღატაკის“ რუსული თარგმანი გამოქვეყნდება“.

მარქსიზმის კლასიკოსთა შრომების თარგმნა-გავრცელებასთან ერთად „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფი ცდილობდა შემოქმედებითად გამოეყენებინა მარქსიზმის ძირითადი დებულებანი რუსეთის ვითარების შესაბამისად, იდეურად გაეანადგურებინა ნაროდნიკობა და გზა გაეწმინდა რუსეთში სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის განვითარებისათვის.

1883 წელს გამოქვეყნდა და რუსეთში გავრცელდა გ. პლეხანოვის პირველი მარქსისტული ბროშურა „სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა“, რომელსაც ეპიგრაფად წამძღვარებული ჰქონდა კ. მარქსის ცნობილი თეზისი: „ყოველი კლასობრივი ბრძოლა პოლიტიკური ბრძოლაა“. ამ ბროშურაში პლეხანოვმა გადაჭრა სოციალიზმისა და პოლიტიკური ბრძოლის ურთიერთდამოკიდებულების ის ძირეული პრობლემა, რომელიც დიდი ხნის მანძილზე დამახიჯებულად ესმოდათ ნაროდნიკული მოძრაობის იდეოლოგებს. პლეხანოვმა ნათელყო მარქსიზმის ძირეული განსხვავება ყველა სხვა ჯურის სოციალისტურ თეორიისაგან და რუსი რევოლუციონერებისათვის გასაგები გახადა მეცნიერული სოციალიზმის — მარქსიზმის არსი.

პლეხანოვმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ნაროდნიკების მცდარი შეხედულება, თითქოს რუსეთი მაშინ გლეხური სოციალისტური რევოლუციის წინაშე ყოფილიყოს. რუსეთის საზოგადოებრივ ურთიერთობათა მარქსისტული ანალიზის საფუძველზე პლეხანოვმა გამოიტანა დასკვნა რუსეთში პირველ რიგში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის განხორციელების აუცილებლობის შესახებ. მიუხედავად

XIX და XX საუკუნეთა მიჯნაზე მსოფლიო

ოცდაათიან

ეკონომიკური

ეკონომიკურ

ეკონომიკა

ეკონომიკურ

ეკონომიკურ

ეკონომიკურ

ულტიმატუმი

ფაქტები მოვლენები

საკლესიო იუწყება

ფრენის სადაგი დღეები

ფრენის მართვის ცენტრი, 23 სექტემბერი. (საკლესია). „სალუტ-7“ ორბიტულმა სამეცნიერო სადგურმა, რომელშიც მუშაობენ ვლადიმერ ლიახოვი და ალექსანდრე ალექსანდროვი, მოსკოვის დროით 12 საათისათვის 8250-ჯერ შემოუფრინა დედამიწას.

გასული დღეებში ეკიპაჟის სამუშაოთა პროგრამა შეიცავდა რეგლამენტურ პროფილაქტიკურ ღონისძიებებს სადგურში, მომავალი ექსპერანტებისათვის სამეცნიერო აპარატურის მომზადებას, სამეცნიერო-ბიოლოგიურ კვლევას.

კოსმონავტებმა განახორციელეს მიკროგრავიტაციის პირობებში სითბური მასის გადატანისა და მრავალფაზიანი არეების ფიზიკის თავისებურებათა შესასწავლი ექსპერიმენტებისათვის განკუთვნილი დანადგარის „პიონის“ მონტაჟი და სატესტო ჩართვა. შემოწმებულია რენტგენული სპექტრომეტრისა და ჰოლოგრაფიული აპარატურის კომპლექტის მუშაობის უნარი.

გასული კვირის ერთ-ერთი დღე დაეთმო ეკიპაჟის კომპლექსურ სამედიცინო შემოწმებას. კერძოდ, გამოიკვლიეს კოსმონავტების გულ-სისხლძარღვთა სისტემის მდგომარეობა როგორც მშვიდ მდგომარეობაში, ისე ფიზიკური დატვირთვის ზემოქმედების დროსაც.

დედამიწის ბუნებრივი რესურსების შესწავლის პროგრამის შესაბამისად დღეს ეკიპაჟი განაგრძობს ხმელთაისა და მსოფლიო ოკეანის აკვატორიის ვიზუალურ-ინსტრუმენტულ დაკვირვებას. ამ სამუშაოთა შესრულების დროს კოსმონავტები იყენებენ ვიდეომაგნიტოფონს, იწერენ დაკვირვების შედეგებს საბორტო ჟურნალებში; ოპერატიულად აწვდიან ინფორმაციას ფრენის მართვის ცენტრში მყოფ სპეციალისტებს.

დღევანდელი განრიგი ითვალისწინებს აგრეთვე წყლის კონდენსატის რეგენერაციის სისტემაში ტუმბოს შეცვლას, რომელმაც ამოწურა თავისი რესურსი, ფიზიკურ ვარჯიშს.

ფიზიკური დატვირთვის რაციონალური დაგეგმვის მიზნით ისეთი პორტატიული ხელსაწყოს დახმარებით, რომელიც არ ზღუდავს კოსმონავტების მოძრაობას, პერიოდულად ხორციელდება ელექტროკარდიოგრამის მაგნიტური ჩაწერა, რომელსაც შემდეგ რადიოკავშირის სეანსების დროს გადასცემენ დედამიწაზე.

სამედიცინო შემოწმების მონაცემებით, ვლადიმერ ლიახოვი და ალექსანდრე ალექსანდროვი ჯანმრთელად არიან.

„სალუტ-7“ — „სოიუზ ტ-9“ ორბიტული სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსის ფრენა ნორმალურად მიმდინარეობს.

საპატიო წოდების მინიჭება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ქართული საბჭოთა სახალხო ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის, ხანგრძლივი ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მთავარ მხატვარს ამხ. მამია ვლადიმერის ძე **მალაზონიას** მიენიჭა საპატიო წოდება „საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი“.

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამხ. **ე. ვ. ჩიხლაძე** დანიშნა საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ. (საქინფორმი).

გმობენ ვაშინგტონის მოქმედებას

საზღვარგარეთის პოლიტიკური წრეები და მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი შეერთებული შტატების მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების უხეშ და წინასწარგანზრახულ დარღვევად მიიჩნევენ ამერიკის ხელისუფალთა მოქმედებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 38-ე სესიაზე წარგზავნილი საბჭოთა დელეგაციის მიმართ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე წარგზავნილ მთელ რიგ დელეგაციათა წარმომადგენლები ყურადღებას მიაპყრობენ იმას, რომ ამერიკის ადმინისტრაცია ფეხქვეშ თელავს საერთაშორისო ნორმებს, გამოთქვამენ აზრს, რომ ოფიციალური ვაშინგტონის ასეთი გამომწვევი საქციელი ლაზავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ყველა სახელმწიფოს ინტერესებს, ხელს უშლის იმას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტრიბუნა გამოიყენებოდეს სადავო საერთაშორისო პრობლემების მშვიდობიანი გადაწყვეტის გზების ძიებისათვის. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ხაზგასმით აღინშნავს ბევრი საზღვარგარეთელი წარმომადგენელი, ხელმისაწვდომი უნდა იყოს ორგანიზაციის წევრი ყველა სახელმწიფოს ხელმძღვანელებისათვის, და თეორი სახლის საქმე არ არის გადაწყვიტოს, თუ ვინ უნდა მიიღოს მონაწილეობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიებში და რა პირობებით. ერთი დასავლელი დიპლომატის თქმით, აღნიშნავს გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“, ამერიკის შეერთებულ შტატებს შეიძლება მოსთხოვონ გადადგენონ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ნიუ-იორკიდან სხვა ქვეყანაში იმის გამო, რომ მას არ ძალუძს უზრუნველყოს ამ საერთაშორისო ორგანიზაციის მუშაობის ნორმალური პირობები.

გაზეთი „კოტიდიენ დე პარი“ ხაზგასმით აღნშნავს, რომ საბჭოთა კავშირის დელეგაციის მეთაურის არყოფნის გამო, რომლის ჩამოსვლა ნიუ-იორკში შეუძლებელი გახდა ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფალთა პოზიციის შედეგად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მომავალ სესიას ისეთი დიდი მნიშვნელობა აღარ ექნება, როგორიც უნდა ჰქონდეს.

ეს ერთობ სერიოზული საქმეა, აღნიშნავს ფრანს პრესის სააგენტო. იგი ცხადყოფს, რომ რეიგანის ადმინისტრაცია, რომელიც ესწრაფვის სსრ კავშირთან ურთიერთობის გაუარესებას, შეიძლება შორს წავიდეს, რათა ამით მოიპოვოს არგუმენტი, რომ ზეგავლენა მოახდინოს იმათზე, ვინც ვერ ბედავს დათანხმდეს დასავლეთ ევროპაში ახალი ამერიკული ბირთვული რაკეტების განლაგებას.

გაზეთი „ინდიან ექსპრესი“ სარედაქციო სტატიაში ხაზგასმით აღნშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების უარი, უზრუნველყოს საჭირო პირობები ნიუ-იორკში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურის ჩამოსვლისა და ყოფნისათვის, საერთაშორისო ნორმებისა და წესების უხეში დარღვევაა. ამგვარად, ეს სიძნელეს უქმნის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუშაობას. იგი არღვევს შეთანხმებებს, რომელთა შესაბამისად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინა მის ტერიტორიაზე განალაგეს.

საზღვარგარეთის პრესის ორგანოები ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფალთა ხალ ანტისაბჭოთა აქციას აღმაშფოთებლად და სამართალსაწინააღმდეგოდ მიიჩნევენ და აღნიშნავენ, რომ ამ პირობებში საბჭოთა კავშირის რეაქცია ვაშინგტონის მტრულ მოქმედებაზე სავსებით ლოგიკურია.

როგორც ცნობილი გახდა, ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა თავხედურად განაცხადა, რომ თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრები კმაყოფილი არ არიან შეერთებულ შტატებში მიღებით, ამერიკელები მზად არიან მოვიდნენ ნავმისადგომზე მათ გასაცილებლად, როცა ისინი გაემგზავრებიან შეერთებული შტატებიდან.

ამ ცინიკურმა განცხადებამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე ჩასული დელეგაციების დიდი აღშფოთება გამოიწვია. მიუხედავად ამისა, პრეზიდენტმა რეიგანმა საქვეყნოდ დაუჭირა მხარი ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის შეურაცხმყოფელ განცხადებას.

ყველაფერი ცხადყოფს, რომ ვაშინგტონის ოფიციალურ წარმომადგენლებს ჯეროვანი დასკვნები არ გამოაქვთ შექმნილი არანორმალური მდგომარეობიდან, წინასწარი განზრახვით ცდილობენ გაამწვავონ საერთაშორისო ვითარება, კერძოდ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ახლანდელ სესიაზეც. (საკლესი).

მოკლედ

ტელეტაიპის ლენტიდან

● **ტოკიო.** აქ ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრი კ. უაინბერგერი. ადგილობრივი პრესის ცნობით, იგი მოლაპარაკებას გამართავს იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრთან სინტარო აბეხთან, ეროვნული თავდაცვის სამმართველოს უფროსთან კაძუი ტანიკავასთან; რომლის დროს განიხილავენ ორმხრივი სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის საკითხებს.

● **ბონი.** მშვიდობისა და განიარაღებისათვის, ახალი ამერიკული „პერშინგ-2“ და ფრთოსანი რაკეტების წინააღმდეგ, მშრომელთა სოციალური მონაპოვრებისათვის დასავლეთგერმანელ კომუნისტთა ბრძოლის შემდგომი გააქტიურების ნიშნით მიმდინარეობს გერმანელთა კომპარტიის საოლქო და რაიონული პარტიული ორგანიზაციების კონფერენციები. ისინი ეწყობა გერმანელთა კომპარტიის მორიგი მე-7 ყრილობისათვის მზადების ფარგლებში, რომელიც მომავალი წლის იანვარში გაიმართება ნიურნბერგში.

● **პარიზი.** მეცნიერ-მუშაკთა მსოფლიო ფედერაციამ პლანეტის მეცნიერებს მოუწოდა გადაჭრით იმოქმედონ ბირთვული საფრთხის აღმოსაფხვრელად, გამალებული შეიარაღების, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში საშუალო სიზორის ახალი ამერიკული ბირთვული რაკეტების განლაგების წინააღმდეგ. მან მხარი დაუჭირა საბჭოთა კავშირის საშვიდობო ინიციატივებს. ეს ნათქვამია მსოფლიოს სამეცნიერო საზოგადოებრიობისადმი მიმართვაში, რომელიც მიიღეს მეცნიერმუშაკთა მსოფლიო ფედერაციის მე-18 გენერალური ასამბლეის მონაწილეებმა.



ფოტოფაქტი

იაპონელები ამერიკული რაკეტების წინააღმდეგ

იაპონიის კუნძულებზე ფართოვდება საპროტესტო მოძრაობა შორეულ აღმოსავლეთში ვაშინგტონის მიერ დაგეგმილი ფრთოსანი რაკეტების განლაგების წინააღმდეგ. „არ დავუშვებთ იაპონიის გადაქცევას ბირთვული ომის ასპარეზად!“ — ამ ლოზუნგით ტოკიოში გაიმართა მასობრივი დემონსტრაცია და მიტინგი, რომლებშიც 6 ათასზე მეტი კაცი მონაწილეობდა. მიტინგზე გამოსულმა ორატორებმა ქვეყნის საზოგადოებრიობას მოუწოდეს გააქტიუროს ბრძოლა გამალებული შეიარაღების ასალამგავად, ბირთვული იარაღის სრული აკრძალვისათვის.

სურათზე: დემონსტრანტთა კოლონა ტოკიოს ქუჩებში.

კიოდო.-საკლესის ფოტო.

ფრანგული ფილოსოფიური ფიქრები

გამალებული შეიარაღების სოციალურ-ეკონომიკური და კოლიტიკური შედეგები

ცნობილია ასობით შემთხვევა, რომლებიც წარმოდგენას იძლევა გაუკონტროლებელი გამალებული შეიარაღების შესაძლო შედეგებზე. ეს არის ბირთვული იარაღის მატარებლების კატასტროფები მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში, რადიოაქტიური, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური საშუალებების გადინება. თითოეული ასეთი ინციდენტი იმის თავისებური გაფრთხილებაა, რომ კატასტროფა შეიძლება უფრო ახლოს აღმოჩნდეს, ვიდრე გვგონია.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით, თანამედროვე მსოფლიოში უშუალოდ ან სხვა არაპირდაპირი ფორმით სამხედრო მზადებაში ჩაბმულია 70 მილიონი კაცი. ამასთან საწარმოო საქმიანობას მოცდენილია მუშახელის ყველაზე კვალიფიციური ნაწილი, უდიდესი საწარმოო სიმძლავრეები, მიწის ვრცელი ფართობები, მრავალი შენობა და ნაგებობა, უძვირფასესი ნედლეულის კოლოსალური მოცულობა. არასაწარმოო სამხედრო ხარჯები ამჟამად მსოფლიოს მთელიანი ეროვნული პროდუქტის 5-6 პროცენტს შეადგენს, ხოლო ისეთ ქვეყნებში, სადაც წარმოებისა და ერთ სულ მოსახლეზე მოხმარების დაბალი დონეა, ერთ მესამედს აღწევს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ექსპერტთა შეფასებით, მსოფლიოს სამხედრო ხარჯებმა 1981 წელს 550-600 მილიარდი დოლარი შეადგინა. სად ვეძებოთ ამ გამალებული შეიარაღების „ამჩქარებელი“. ცხადია, არა აღმოსავლეთში, არამედ დასავლეთში, სადაც იღებენ სულ ახალ და ახალ სამხედრო პროგრამებს; საბჭოთა კავშირი კი არა, ამერიკის შეერთებული შტატები გეგმავს 1984 წლისათვის სამხედრო ხარჯების 273, ხოლო 1988 წლისათვის 425 მილიარდ დოლარამდე გაზრდას. ხარჯების ასეთი ფანტასტიკური ზრდა თავისთავად მოწმობს აგრესიული მოქმედებისათვის მზადებას, იმ საფრთხის ზრდას, საყოველთაო მშვიდობას რომ ექმნება. ეს არის გონიერებისადმი თავისებური დაპირისპირებაც, რამეთუ გამალებული შეიარაღების ახალი ეტაპი ნიშნავს ეკონომიკის, პოლიტიკის, სულიერი ცხოვრების ახალ დეფორმაციას, საარსებო აღმშენებლობითი პროგრამების განხორციელების, ისეთი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტის ჩაშლას, რომლებიც ობიექტურად აუცილებელია კაცობრიობის ეშმაკრიტი განვითარების გზაზე წინსვლისათვის.

უარყოფითი ზემოქმედება ეკონომიკაზე

გამალებული შეიარაღების უარყოფითი შედეგი სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება. იგი თითქმის ყველგან აღწევს და, რაც მთავარია, სულ უფრო ღრმად და ხანგრძლივად. მისი ახალი ფორმების წარმოშობას (ხშირად ფარული, რომელიც ძნელად ექვემდებარება რაოდენობრივ აღრიცხვას) განაპირობებს მსხვილი კაპიტალისტური ქვეყნების მიერ მშვიდობიანი დროისათვის უპრეცედენტო მასშტაბის სამხედრო პროგრამების განხორციელება, სამხედრო ტექნიკასთან დაკავშირებული საექსპორტო და საიმპორტო ოპერაციების ზრდაზე ორიენტაცია, სამხედრო კვლევა-შემუშავებაზე, როგორც სამხედრო-ტექნიკური უპირატესობის მიღწევის მთავარ საშუალებაზე, აქციენტის გადატანა. ყოველივე ეს ობას ძალაუფლებას. ეს ეტაპი ნიშნავს ეკონომიკის, ეროვნული ცხოვრების ახალ დეფორმაციას, საარსებო აღმშენებლობითი პროგრამების ინტენსიფიკაციას, ისეთი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტის ჩაშლას, რომლებიც ობიექტურად აუცილებელია კაცობრიობის ეშმაკრიტი განვითარების გზაზე წინსვლისათვის.

უარყოფითი ზემოქმედება ეკონომიკაზე

გამალებული შეიარაღების უარყოფითი შედეგი სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება. იგი თანდათან ეუფლება ეროვნული ეკონომიკის ყველა ძირითადი ელემენტს. ეს ეტაპი ნიშნავს ეკონომიკის, პოლიტიკის, სულიერი ცხოვრების ახალ დეფორმაციას, საარსებო აღმშენებლობითი პროგრამების განხორციელების, ისეთი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტის ჩაშლას, რომლებიც ობიექტურად აუცილებელია კაცობრიობის ეშმაკრიტი განვითარების გზაზე წინსვლისათვის.

უარყოფითი ზემოქმედება ეკონომიკაზე

გამალებული შეიარაღების უარყოფითი შედეგი სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება. იგი თანდათან ეუფლება ეროვნული ეკონომიკის ყველა ძირითადი ელემენტს. ეს ეტაპი ნიშნავს ეკონომიკის, პოლიტიკის, სულიერი ცხოვრების ახალ დეფორმაციას, საარსებო აღმშენებლობითი პროგრამების განხორციელების, ისეთი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტის ჩაშლას, რომლებიც ობიექტურად აუცილებელია კაცობრიობის ეშმაკრიტი განვითარების გზაზე წინსვლისათვის.

უარყოფითი ზემოქმედება ეკონომიკაზე

გამალებული შეიარაღების უარყოფითი შედეგი სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება. იგი თანდათან ეუფლება ეროვნული ეკონომიკის ყველა ძირითადი ელემენტს. ეს ეტაპი ნიშნავს ეკონომიკის, პოლიტიკის, სულიერი ცხოვრების ახალ დეფორმაციას, საარსებო აღმშენებლობითი პროგრამების განხორციელების, ისეთი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტის ჩაშლას, რომლებიც ობიექტურად აუცილებელია კაცობრიობის ეშმაკრიტი განვითარების გზაზე წინსვლისათვის.

უარყოფითი ზემოქმედება ეკონომიკაზე

გამალებული შეიარაღების უარყოფითი შედეგი სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება. იგი თანდათან ეუფლება ეროვნული ეკონომიკის ყველა ძირითადი ელემენტს. ეს ეტაპი ნიშნავს ეკონომიკის, პოლიტიკის, სულიერი ცხოვრების ახალ დეფორმაციას, საარსებო აღმშენებლობითი პროგრამების განხორციელების, ისეთი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტის ჩაშლას, რომლებიც ობიექტურად აუცილებელია კაცობრიობის ეშმაკრიტი განვითარების გზაზე წინსვლისათვის.

უარყოფითი ზემოქმედება ეკონომიკაზე

გამალებული შეიარაღების უარყოფითი შედეგი სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება. იგი თანდათან ეუფლება ეროვნული ეკონომიკის ყველა ძირითადი ელემენტს. ეს ეტაპი ნიშნავს ეკონომიკის, პოლიტიკის, სულიერი ცხოვრების ახალ დეფორმაციას, საარსებო აღმშენებლობითი პროგრამების განხორციელების, ისეთი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტის ჩაშლას, რომლებიც ობიექტურად აუცილებელია კაცობრიობის ეშმაკრიტი განვითარების გზაზე წინსვლისათვის.

ინფლაცია, უფუფევრობა, სოციალური პროგრამების შეკვეცა

გამალებული შეიარაღების სოციალურ შედეგებზე რომ ვლაპარაკობთ, უნდა აღინიშნოს, რომ იგი არა თუ გადაჭრის, არამედ აღრმავებს თანამედროვე კაპიტალიზმის ისეთ მწვავე პრობლემას, როგორიც უმუშევრობაა. საქმე ის გახლავთ, რომ თანამედროვე სამხედრო წარმოების გაფართოება, რომელიც მიზნად ისახავს ტექნიკურად რთული და დიდი კაპიტალტევადობის იარაღის გამოშვებას, წარმოშობს მოთხოვნილებას მხოლოდ ცალკეული კატეგორიის კვალიფიკაციურ სპეციალისტებზე, ისიც გარკვეულ დარგებში, და არ ეხება უმუშევართა მრავალრიცხოვან მასას, მრავალი ქვეყნის ეკონომისტთა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ერთი და იგივე ოდენობის თანხების დახარჯვა სამხედრო სფეროში ნაკლებ სამუშაო ადგილებს ქმნის, ვიდრე მეტ წილ სამოქალაქო დარგებში. მოსახლეობის ფართო ფენების ეკონომიკურ მდგომარეობას აუარესებს სოციალური პროგრამების შეკვეცა და გადასახადების ზრდა, რაც, ჩვეულებრივ, თან ახლავს სამხედრო ხარჯების ზრდას. ეს არა საწარმოო ხარჯები აქტიურად ასტიმულებს ინფლაციას, რომელიც ძმიმე ტვირთად აწვება მრავალი ქვეყნის მოსახლეობას.

კონფლიქტების საფრთხე და ძმიმე ულელი

გამალებული შეიარაღება გასაკუთრებით ძმიმე მდგომარეობაში აყენებს განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკას. თანამედროვე სახეობის იარაღით დედამიწის სხვადასხვა რეგიონების ავსება, ერთი მხრივ, ქმნის არასტაბილურ ვითარებას, ააქტიურებს სამხედრო კონფლიქტებს პლანეტის ხან ერთ, ხან მეორე წერტილში, უნდობლობასა და შეღლს თესავს ხალხებს შორის. ხოლო მეორე მხრივ, აღრმავებს იმ ღარიბი ქვეყნების ხალხთა ისედაც ძნელ ეკონომიკურ მდგომარეობას, რომლებსაც სამხედრო ხარჯებთან სულ უფრო დამძიმებული ულელის ზიდვა უხდებათ. დიდძალი სავალუტო სახსრების ხარჯვა იარაღის შესყიდვაზე უკანასკნელ სისხლს აცლის ბევრ განვითარებად ქვეყანას, ხელს უწყობს საგადამხდელო ბალანსების დეფიციტის და საგარეო ვალების ზრდას, ახალ ბარიერებს ქმნის მათი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გზაზე.

კაპიტალისტურ სამყაროში გამალებული შეიარაღებისათვის დიდძალი რესურსების გამოყოფა აბრკოლებს აგრეთვე თანამედროვე კაცობრობის მთელი რიგი ისეთი მწვავე გლობალური პრობლემების გადაჭრას, როგორიც არის ჩამორჩენილობის, სიღატაკის, ავადმყოფობის, უწიგნურობის და შიმშილის აღმოფხვრა, ენერგეტიკული რესურსებით და ნედლეულით უზრუნველყოფა, გარემოს დაცვა.

ზოგადსაკაცობრიო ზეამოცანა

გამალებული შეიარაღება სულ უფრო მეტად ეწინააღმდეგება როგორც ცალკეული ქვეყნების, ისე მთელი კაცობრიობის ნორმალური ეკონომიკური განვითარების კანონზომიერებებსა და მოთხოვნილებებს. სწორედ თერმობირთვული კატასტროფის თავიდან აცილების, გამალებული შეიარაღების ალაგმვის ამოცანის ზოგადსაკაცობრიო ზეამოცანად გადაქცევა, მის გადაწყვეტაში მშვიდობის ისეთი მძლავრი ფაქტორის აქტიური მონაწილეობა, როგორიც არის სოციალისტური თანამეგობრობა და, უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირი, სერიოზულ იმედს გვისახავს, რომ გამალებული შეიარაღების ბოროტებას ბოლო მოეღება.

ახალი ამბების სააგენტოს მასალების მიხედვით.

სახიფათო ტვირთი

გამალებული შეიარაღების სოციალურ-ეკონომიკური და კოლიტიკური შედეგები

ყველაზე მარცხიანი...

ბანკის გაძარცვა

1975 წლის აგვისტოში შოტლანდიის ქალაქ როტსერში „როიალ ბენკ ოფ სკოტლანდის“ გასაძარცვავად სამი მამაკაცი გეგმართა, მაგრამ მბრუნავ კარებში გაიჩხირნენ. თანაც ისე სახიფათოდ, რომ ბანკის მთელმა პერსონალმა ძლივს გაათავისუფლა. მათ მაღლობა გადაუხადეს ბანკის მოსამსახურეებს და წავიდნენ. რამდენიმე წუთში კი უკანვე დაბრუნდნენ და განაცხადეს, ბანკის გაძარცვა გიჭირდოდაო. არც ერთმა თანამშრომელმა არ დაუჯერა. მაგრამ, როდესაც მათ ხუთი ათასი გირვანქა სტერლინგი მოსთხოვეს, ამის გამგონე მოლარეს ჰამეროსული სიცილი აუტყდა. ამგვარი რეაგირებით შეცბუნებულმა ბანდის მეთაურმა პირველი მოთხოვნა ხუთას გირვანქამდე შეამცირა, მერე — ორმოცდაათამდე, ხოლო ბოლოს — ორმოცდაათ პენსამდე, ანუ ნახევარ გირვანქამდე. მოლარე მაინც ხარხარს განაგრძობდა. მაშინ ერთი ბანდიტთაგანი ბარიერს გადაეკეტა, რომ ფულის დასტისათვის ეტაცა ხელი, მაგრამ ფეხი დაუსხლტდა და ისე უხეიროდ დაენარცხა, რომ ფეხი მოიტეხა. დანარჩენი ორი მძარცველი გაქცევას შეეცადა, მაგრამ კვლავ... მბრუნავ კარებში გაიჩხირნენ, საიდანაც ისინი გამძანცეს პოლიციელთა ჯგუფმა „დაიხსნა“.

გემი „არგომერჩენტი“

მისი აგებისა და ჩაძირვის წლებს შორის (1953-1975) „არგომერჩენტი“ ყოველგვარ წარმოსადგენ და წარმოუდგენელ ვაივაგლახში ვარდებოდა.

1967 წელს რვა თვეს მოუნდა იგი იაპონიიდან ამერიკის შეერთებულ შტატებამდე მისვლას. ერთხელ იაპონიის ხომალდს დაეჯახა, სამჯერ ხანძარი გაუჩნდა და იძულებული შეიქნა ხუთჯერ სარემონტოდ გაჩერებულიყო.

1968 წელს მისი ეკიპაჟი აჯანყდა, ხოლო 1969 წელს გემი ბორნეოს კუნძულის მახლობლად გაირიყა. შემდგომ წლებში ჯერ კიურასაოში არემონტებდნენ, მერე კი სიცილიასთან ავარია მოუხდა და ბუქსირით წაიყვანეს ნიუ-იორკში.

1976 წელს ექვსჯერ აუფეთქდა ორთქლის ქვაბი, ერთხელ აუცილებელი გახდა ორი წითელი ფარნის გამოკიდვა, იმის ნიშნად, რომ ეკიპაჟს არ ძალუძდა გემის წაყვანა, რადგან მექანიზმი მწყობრიდან გამოსულიყო.

„საკადრისად“ რომ დაესრულებინა ეს წელი, „არგომერჩენტი“ წყლისქვეშა კლდეს დაეჯახა და ჩაიძირა კეპ კოდის კონკხთან, ხოლო თავის მაგივრად ზედაპირზე ნავთობის ვეება ლაქა დატოვა.

წარუმატებელი სპექტაკლი

წარუმატებელი სპექტაკლებისათვის საპრიზო ადგილების მრავალი პრეტენდენტია, მაგრამ, ყველა მონაცემის მიხედვით, ედუარდ ფალკონერს ალბათ პირველი ჯილდო ეკუთვნის.

1866 წლის 19 ნოემბერს შედგა მისი სპექტაკლ „ლისმონდელი მიჯნურების“ პრემიერა.

სპექტაკლი საღამოს რვის ნახევარზე დაიწყო და გაუთავებლად გაჭიანურდა. თერმომეტ საათზე ხალხის ნაწილი დაიშალა. შუაღამე გადაცილა და სპექტაკლი მაინც გრძელდებოდა. ახლა უკვე მაყურებელთა უმრავლესობა მთქნარებით მიემართებოდა შინისაკენ. ღამის ორი საათისათვის დარბაზში დარჩნენ მხოლოდ კრიტიკოსები და ის პირები, რომელთაც ღამის გასათევი არ ჰქონდათ. სამ საათზე შეიკრიბნენ სცენის მუშები და გაცხარებულ მატნეგზე დაადგინეს სპექტაკლის შეწყვეტა, რომელსაც ეტყობოდა დასასრული არ უჩანდა.

ინგლისელი სტეფან პილი მრავალი წლის მანძილზე აგროვებდა დედამიწის ზურგზე მომხდარ უიშვიათეს შემთხვევებს, რომლებსაც შეიძლება ეწოდოს ყველაზე მარცხიანი მსოფლიოში. ასე შეიქმნა კურიოზების წიგნი, რომლიდანაც რამდენიმეს ვთავაზობთ მკითხველს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ამხ. ა. ჯ. მეჟიროვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში წვლილისათვის, მშრომელთა ინტერნაციონალურ აღზრდაში, ხალხთა მეგობრობის განმტკიცებაში დიდი დამსახურებისათვის, ხანგრძლივი ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით მწერალი ალექსანდრე პეტრეს ძე **მეჟიროვი** დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი.
1983 წლის 23 სექტემბერი.

60 წლის ალექსანდრე მეჟიროვი

თანამედროვე რუსული პოეზიის ერთ-ერთმა შესანიშნავმა წარმომადგენელმა ალექსანდრე მეჟიროვმა სავსებით დაიმსახურა, რომ ქართველმა საზოგადოებრიობამ, პოეზიის მოყვარულთა უფართესმა წრემ და მთლიანად ხალხმაც კარგად იცოდეს, თუ რა დიდი შემოქმედებითი პოტენციის ადამიანია იგი, რა დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული პოეზიის საკავშირო სარბიელზე გატანაში, რა ღრმა და სათუთი გრძნობით, როგორ უანგაროდ უყვარს მას საქართველო და ჩვენი ხალხი.

ჯერ მის პოეზიაზე ვიტყვი.

საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია, რომ ბევრი თანამედროვე რუსი პოეტის შემოქმედების ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა დიდ სამამულო ომს. როცა 18 წლის საშა მეჟიროვი სამშობლოს დამცველთა რიგებში პირდაპირ სკოლის მერხიდან ჩადგა, როცა საკუთარი მკერდით იცავდა ალყაშემორტყმულ, უმძიმეს განსაცდელში ჩავარდნილ ლენინგრადს, როცა ჯოჯოხეთურ ცეცხლში დახოცავდა პულკოვოს ყუმბარებით გადათხრილ გორაკებზე და სინიავინის უძირო ჭაობებზე ხედავდა თანატოლების სიკვდილს და შშვიდობიან მცხოვრებთა აუტანელ ტანჯვას, იგი ჯერ კიდევ ვერ წარმოიდგენდა, რომ ის არნახული ომი მის ცხოვრებასა და შემოქმედებაში მხოლოდ ეპიზოდად დარჩებოდა, არამედ მომავალშიც მთლიანად განსაზღვრავდა მის ადამიანურ არსებობას და, ამდენად, მის პოეტურ სამყაროსაც.

პოეტს მუდამ აინტერესებს ადამიანის შინაგანი უძლეველობის პრობლემა. მაგრამ ის კი არა, რომ კაცს შეუძლია ფიზიკურად ყველაფერი აიტანოს, არამედ სულის იმგვარი სიძლიერე, იმგვარი აღზევება, სასტიკი განსაცდელის ჟამს რომ იშვა და გაიძულებს ის გაკეთო, რისი გაკეთებაც, ერთი შეხედვით, შეუძლებელია; ეს არის ის შინაგანი სიმტკიცე, რასაც ვერაფერი ვერ გასტეხს; ეს არის შურისგების წმინდა გრძნობა იმ ბავშვთა გამო, ლადოგის ყინულზე რომ დაიხოცნენ; ეს არის სიმღერა სამშობლოზე, ურომლისოდაც ადამიანის არსებობა უფასურია; და ბოლოს, ეს არის ოცნება მშვიდობაზე, ქვეყნად რომ სამუდამოდ დაისადგურებს.

პოეტისათვის მთავარია ადამიანების გმირობის ზნეობრივი საფუძველი. მისთვის ის კი არ არის საკმარისი, რომ დაინახოს, თუ როგორ უმკლავდება ძალა ძალას, მთავარია სულის, მაღალი ოცნების, წმინდა იდეის გამარჯვება.

და როცა პოეტი ომიდან დაბრუნდა, მის შემოქმედებაში მთავარი ადგილი დაიჭირა არა ომის ყოფამ, არამედ ზნეობრივმა შედეგმა. ეს ასხვავებს ალ. მეჟიროვს ომგადახდილ სხვა რუს პოეტთაგან.

აგერ მაღე 40 წელი გავა იმ სასტიკი ომის ძლევამოსილი დამთავრებიდან, თანდათან შუშდება მის მიერ მოყენებული სულიერი ჭრილობები, ახალი თაობების მოსკლასთან ერთად თანდათან ნელდება და ფერმკრთალი ინავლება მისი ცეცხლის სიმწვავე, მაგრამ ალ. მეჟიროვის გულში, მის პოეტურ ბედში, მის დღევანდელ ლექსებში კვლავ ბრიალებს ის ცეცხლი, კვლავ იწონება და ფასდება ზნეობრივი შედეგები ამ ომისა, რომელმაც მაშინ მთლიანად შეძრა მისი ყმაწვილური არსება. მიუხედავად იმისა, რომ პოეტი თითქოს ცდილობს ომის მძიმე ტვირთისაგან განთავისუფლებას, ლაღად მოსუნთქვას მშვიდობიანი ცისკენ ავეშ, მაინც თითქმის ყველა მის ლექსში, თუ პირდაპირ არა, სტრიქონებს შორის მაინც გამოკრთის ჩვენთვის თითქოს უხილავი (შეიძლება, თვით ავტორისთვის!) ცეცხლი ომისა, რომელშიც გამოიწრთო მისი მგზნებარე გული და მისმა სინდისმა შეიძინა ომში დაღუპულთა ხსოვნის მიმართ მარადიული მწუხარებისა და ტკივილის განუშორებელი თვისება.

ოც წიგნზე მეტი გამოსცა ალ. მეჟიროვმა.

რა შეიცვალა მის პოეზიაში?

იგი უფრო დრამატული გახდა. დრამატულია წარსულის ხსოვნა, დრამატულია დეტალები, სიუჟეტები, იხსნება და იკვეთება მათი წინათ შეუმჩნეველი არსი და აზრი.

ომი იყო ხორცის გვემა, მაგრამ არანაკლებ სულისა. ამიტომაც არის, რომ ასე მკაფიოდ იხატება ალ. მეჟიროვის პოეტურ ხილვებში ყველაფერი, რაც მაშინ ხდებოდა. მაგრამ ახლა ეს სხვანაირად აქვს აღქმული და გააზრებული. მხატვრული წარმოსახვის მძლავრი უნარი სამუალებას აძლევს პოეტს თავიდან განიცადოს ის, რაც ერთხელ უკვე განცდილი იყო. მაგრამ იმ ემოციათა, აღდგენა გართულებულია ორმოცი წლის ცხოვრებისეული გამოცდილებით. იხსენებს რა ბლოკადაში მყოფ ლენინგრადს, გაყინულ ვაგზალს, შტაბელებად დაწყობილ შეშას კი არა, არამედ დახოცილთა გვამებს, პოეტს აღმოხდება: „სიკვდილიც კი ადვილად აღიქმებოდა იმ სიყმაწვილეში, ადვილად აღიქმებოდა ყოველგვარი ბოროტება, მაგრამ მძიმედ, უმძიმესად წვებოდა გულზე". აი სწორედ აღქმის ყმაწვილურმა სიმსუბუქემ და იმ ტვირთის სიმძიმემ, რომელიც მაშინ მისმა თითქმის ბავშვურმა ხსოვნამ აზიდა, წარმოშვა მეტად მწვავე ტრაგიკული მოტივები ალ. მეჟიროვის პოეზიაში.

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისათვის



მეგობრობის ნათელი

თავიდანვე მრავალი სიკეთე და მადლი, მრავალი მოკეთე და მოყვარე შეგვძინა რუსეთთან დამეგობრებამ.

გამოჩენილი რუსი პოეტის და მოაზროვნის ალექსანდრე გრიბოედოვის ქართველებთან სიახლოვემ და დანათესავებამ ხომ ფართოდ გაუთქვა სახელი. რუსეთთან დამოყვრების ერთ-ერთ მესვეურს, პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძეს.

— პაპაჩემის ოჯახს ძმობა-მეგობრობის ოჯახს ეძახდნენ, — იგონებს ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილიშვილი, დავით ჭავჭავაძის ასული თამარ ჭავჭავაძე-ბაგრატიონ-გრუზინსკაია. ოჯახურ ტრადიციებს არც მოდგმა ღალატობდა. ალექსანდრე ჭავჭავაძის მეგვიდრის, ცნობილი მწიგნობრისა და ბიბლიოფილის დავით ჭავჭავაძის დიდი ოჯახიდან უმცროსი ქალიშვილი სალომე ოსკარ სატენს გაჰყვა, ელენე — რუს გენერალ ასტაფიევს, მარიამი (კატო) — ბესარაბიელ ლასკალის, ხოლო პოეტის უმცროსი ქალიშვილი სოფიო, „ნაბოლარას" რომ ეძახდნენ, ბარონ ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაის მეუღლე გახდა.

ადვილი წარმოსადგენია, რამდენი სიხარული, სიცოცხლე შეჰქონდა ჭავჭავაძეების ოჯახში ამდენ მოკეთეს, ასეთ გულითად დამოყვრებას, მისვლა-მოსვლას.

„ჩვენი სახლი 40 წლის განმავლობაში ღია იყო ყველასათვის. ჩვენი თანამედროვენი აქ უმეგობრდებოდნენ რუსებს" — წერდა 1846 წელს ალექსანდრე ჭავჭავაძის ქვრივი სალომე.

ჭავჭავაძიანთ ხშირი სტუმარი ბარონი ტორნაუ, ეკატერინეს სილამაზით მოხიბლული, მას „საქართველოს მზეს" ეძახდა; „მთის სადარბაზო ოთახში სტუმარი არ ილეოდა, დილიდან იწყებოდა ქართული ნათესავების, რძლების, სიძეების გამასპინძლება, მერე კი სამსახურიდან გათავისუფლებისთანავე ერთი მეორეს მოსდევდა რუსობა" — წერს იგი. ასე იყო ზამთრობით თბილისში, ზაფხულობით კი წინანდალში. ჭავჭავაძიანთ ქვევრების ღვინოს, რომლებიც საგანგებოდ სპასტანი პირთათვის იხსნებოდა ხოლმე, განცვიფრებაში მოჰყავდა სტუმრები. არა ერთსა და ორ უცხოელს გამოუთქვამს აღფრთოვანება ალექსანდრე ჭავჭავაძის სტუმართმოყვარეობის, ხელგაშლილობის და მისი განთქმული სალონის ევროპული ხასიათის გამო. საქართველო იზიდავდა ყველა მოგზაურს. თურმე ბალზაკიც ოცნებობდა საქართველოში ჩამოსვლაზე, მისი ხალხის გაცნობაზე. ერთ კერძო წერილში 1847 წელს იგი წერდა: „ჩვენ გვინდა ვიმოგზაუროთ ყირიმში, კავკასიაში და ჩავიდეთ თბილისში, ეს მოგზაურობა ჩემთვის ხელსაყრელია".

XIX საუკუნის დასაწყისში ალ. ჭავჭავაძის ოჯახი ქართველი და რუსი პროგრესულად მოაზროვნე ადამიანების თავშესაყრელ ადგილად, შემაკავშირებელ ცენტრად იქცა,

ალ. ჭავჭავაძის ოჯახს დაუახლოვდა პეტერბურგის მაღალ საზოგადოებაში აღზრდილი ბარონი ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაიც, რომელიც 1845 წელს საქართველოში კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი, ხოლო შემდგომ წლებში კავკასიის მეფის კანცელარიის დირექტორი იყო. ქართველი საზოგადოებრიობა ბარონ ნიკოლაის პრესიდანაც იცნობდა, იგი საინტერესო წერილებისა და სტატიების კრებულთა ავტორი იყო. ეჭვი არ არის, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახთან და მის საკრებულოსთან იგი მისმა კავკასიელმა მეგობრებმა დააახლოვეს. ესენი უნდა ყოფილიყვნენ გრაფი სოლოგუბი, ნატალია გოლიცინა, ესტერ გეზი, ჟუკოვსკი, ბარიატინსკი, ნარიშკინა, პასკევიჩი, შეკელოვი და სხვ.

აქ გაცნობია ალექსანდრე ნიკოლაი ჭავჭავაძიანთ უმცროს ქალიშვილს სოფიოს (სონიჩკას) და პირველი ნახვისთანავე მოხიბლულა პოეტის ასულით. 1849 წლის 6 დეკემბერს ვორონცოვთან გამართულ დიდ წვეულებაზე ალექსანდრე ნიკოლაი მეორედ შეხვედრია სოფიოს და გულწრფელად ჩაუწერია დღიურში: ალექსანდრე ჭავჭავაძის უმცროსმა ქალიშვილმა, დავითის დამ მომჯადოგაო. სათნოიერის, მშვენიერი ხმის მქონე სოფიო დიდად ჩამოჰგავდა თავის გამზრდელ უფროს დას ნინოს, მაგრამ თუ მისი სახელი დღეს ნაკლებ ცნობილია, ამასაც თავისი მიზეზები ჰქონდა. ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვა 21 წლით, ეკატერინე კი 17 წლით უფროსი იყვნენ სოფიოზე. სილამაზით განთქმულ, თაყვანისმცემელთა ქებით განებივრებული ნინოსა და ეკატერინეს შემდეგ გაჩენილს აკი „ნაბოლარასაც" ეძახდნენ. სოფიო ჭავჭავაძე 29 წლისა გარდაიცვალა, ასე ნაადრევმა სიკვდილმაც შეუშალა ხელი მის პოპულარობას. მაგრამ ჭავჭავაძიანთ ოჯახის ქალებს ბედად დაჰყვათ მომხიბვლელობა. ჯერ ალექსანდრეს დედას — მარიამს უკმევდნენ გუნდრუკს, მერე პოეტის მეუღლეს სალომეს, რომ აღარაფერი ვთქვათ ეკატერინესა და ნინოზე. ბოლოს არც ჩვენთვის ნაკლებ ცნობილი, კდემამოსილებით აღსავსე უმცროსი ქალიშვილი დარჩენილა უხობოდ. ეი რას წერს ნინო ჭავჭავაძე თავისი გაზრდილი სოფიოს შესახებ მათი ოჯახის უახლოეს მეგობარს პოეტ გრიგოლ ორბელიანს:

„...მართალია, სოფიოს გამზრდელი ვარ, ისეთი გოგო არის, ჩინებული ანგელოზია დედამიწაზე... საკმაოდ კარგად ვატარებთ დროს, ვკითხულობთ, ვქარგავთ, ხშირად ვცხეხოსსობთ".

დედაც კი, სალომე ჭავჭავაძე, აღფრთოვანებულია ნაბოლარათი. „...საკვირველი შავი თმა აქვს, ლამაზი შუბლი, ამასთან უცხო შავი წმაწამები, თეთრი წვრილი კბილები ჩაწყობილი. იმისი გაღიმება კაცს მოძრაობაში მოიყვანს, ტანადობა ხომ სწორედ ჩინარი, მართალია, თავის ხანთან შედარებით საოცრად საკვირველი გონიერი" — სწერს ისიც ორ. ორბელიანს.

საინტერესოა ამასთან დაკავშირებით გრ. ორბელიანის წერილი სალომესადმი (სწორედ მას უძღვნა პოეტმა ცნობილი ლექსი: „არავისთვის დღეს მე არა მცალიან, სალომესთან სადილად მეძახიან").

„... ეგ მესამე დღეა, რაც მოველ რიგიდან. აქა, სადაც დამხვდა თქვენი წერილი, მწერ მეგობრობის

ნათელი

სამე ქალის ყოლას, ესე იგი მესამე გრაციას, მოგილოცავთ, მაგრამ რაგინდა სალომევ! აქამდის ორი ქალი გყავდა და პეტერბურგთან ისპასპანამდის გგგიეებულნი იყვნენ. ახლა ეს მესამეც— სახელი დიან კარგი დაგირქმევიათ, ყველა სოფიოები რომელთაც ვიცნობ, ლამაზი არიან..."

სოფიო წამოიზარდა თუ არა, მართალაც შთამომავლობით ეშხით გამობრწყინდა, რაიც როგორც ვხედავთ, შეუმჩნეველი არ დარჩენია ბარონ ნიკოლაის. იგი მანანა ორბელიანის მიერ გამართულ სპექტაკლებზე ნინო ჭავჭავაძის გვერდით ხედავდა ხოლმე სოფიოს. დარწმუნდა რა მისდამი ღრმა გრძნობაში, ერთერთ საღამო წარმოდგენაზე გადაუწყვეტია ფარული გრძნობა სოფიოს შერთვისა ვორონცოვისა და მისი მეუღლისათვის გაენდო, რათა ისინი სოფიოს გამზრდელ დას ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვას მოლაპარაკებოდნენ. ამ დროს სოფიოს, მშობლები ცოცხალი აღარ იყვნენ. ისინი ვეღარ მოესწრნენ თავიანთი საყვარელი „ნაბოლარას" ბედნიერებას, ალ. ჭავჭავაძის ტრაგიკულმა სიკვდილმა თითქოს დაარჩარა კიდეც ეს ქორწინება.

იმ დროს, როცა ხალხი გლოვობდა პოეტს, როცა მისი მოულოდნელი სიკვდილით შეწუხებული იყო ყველა, დამწუხრებულ ოჯახს მხარში ამოუდგა და დიდი ჭირისუფლობა გაუწია მომავალმა სასიძომ.

აი რას წერს ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვა: „ოღონდ ბარონ ნიკოლაისაგან დიდად დავალებული ვართ, რომ ასეთი მოყვარულობა გამოიჩინა. იმ საშინელ უბედურობის დროს, ღმერთი გადაუხდის მაგიერს, მაინც საკვირველი კაცნი არიან ორივე ძმები... ყოველთვის ღმერთს მადლობას ვწირავთ, რომ სონიჩკას ამისთანა ნუგეში გაუჩინა, ჭეშმარიტად ობლის მამა ღმერთია".

ცხადია, ამის შემდეგ ნინოს უარი არ ეთქმოდა თავისი გაზრდილის ბედი რომ ქართველი ხალხის დიდი პატივისმცემლის ალექსანდრე ნიკოლაისათვის მიენდო. ახლა იგი ჭავჭავაძეებთან დადიოდა არა როგორც სტუმარი, არამედ როგორც მომავალი სასიძო. ალექსანდრე ნიკოლაი მამას უგზავნის წერილს დასტურისათვის:

„დიდად საყვარელო ძვირფასო მამა! აგერ ხუთი წელია რაც ვიცნობ ჭავჭავაძიანთ ოჯახს და არა მარტო ჩემმა პირველმა შთაბეჭდილებამ, არამედ საზოგადოებრივმა აზრმა ჩემს გულში ღრმა პატივისცემა დაამკვიდრა ამ ოჯახისადმი.

როდესაც მე პირველად ჩავედი თბილისში, სოფიო ჯერ კიდევ ბავშვი იყო. ახლა იგი 17 წლისაა, ძალიან დამშვენდა, მას ახასიათებს სიდარბაისლე, თავმდაბლობა და სიფაქიზე. აი პირველი შთაბეჭდილება მასზე და ეს შთაბეჭდილება კიდევ და კიდევ ღრმავდება, დღითი დღე იზრდება. ეს ისეთი ადამიანია, რომლისთვისაც ბოროტება თითქმის გაუგებარი ცნებაა.

მე ვხედავ მასში იმ იდეალს, რომელიც დავისახე ჩემი მომავალი ცოლისათვის, სოფიო აღზრდილი ტრადიციულ ოჯახში, სადაც სუფევს პატივისცემა უფროსებისადმი და არც არის მიჩვეული ფუფუნებას. მისი ადამიანობა იმდენად მაღლა დგას, რომ მარტო ეს ფარავს ყოველგვარ მატერიალურ კეთილშობილებას. შეუღლება მხოლოდ სიმდიდრის გულისათვის ჩემთვის მიუღებელია. ეს თქვენ ბავშვობიდანვე ჩამინერგეთ გონებაში.

სოფიოს აძლევენ მიწას. ესეც ასე თუ ისე ხელს შეგვიწყობს ოჯახის შექმნასა და მოწყობაში. მერე მე ჯერ კიდევ სრულიად აზალგაზრდა ვარ და იმედი მაქვს ჩემი მომავლისა.

განგებამ ჩემდა საბედნიეროდ მომიყვანა მე ამ თვალწარმტაც ქვეყანაში, რომელიც რაც დრო მიდის უფრო და უფრო მიყვარს. ჩემი სურვილია პატარა ამაგი შევიტანო მისი კეთილდღეობის საქმეში".

არა მარტო მამისადმი მიწერილ წერილში, არამედ სხვა მარათშიც ნათლად ჩანს ნიკოლაის ქართველი ხალხისადმი უსაზღვრო სიყვარული და პატივისცემა.

—„დავიწყე ქართული ენის გაკვეთილები ჭავჭავაძიანთ ოჯახში, რომელსაც დაესწრო დიმიტრი ყიფიანი" — ქართულ ენას მას თავისი სათნო შეუღლე სოფიო ჭავჭავაძე ასწავლიდა. სამწუხაროდ, მათი ბედნიერება ხანმოკლე გამოდგა. აბალელვებელია ალექსანდრე ჭავჭავაძის უმცროსი ასულის სოფიოს ანუ ბარონესა ნიკოლაის ბედი, რომელიც ცხოვრებამ სამშობლოს სულ ახალგაზრდა მოსწყვიტა, ქართველი ქალის საფლავი შორეულ ვიბორგში გაითხარა.

როგორ მოხვდა სოფიო ვიბორგში?

ალექსანდრე ნიკოლაის სამსახურებრივი მოვალეობის გამო ხშირად უხდებოდა სხვადასხვა ქალაქში ცხოვრება, რის გამოც მისი ახალგაზრდა მეუღლე ზოგჯერ მარტო იყო ხოლმე, მშობლიურ კუთხესა და ახლობლებს მონატრებულ ქალს სევდა მიეძალა. ალექსანდრე ნიკოლაი არანაკლებ განიცდიდა სათნო მეუღლის გულისტკივილს და აიმედებდა რომ სულ მალე გადავდოდნენ საქართველოში, მაგრამ ჭავჭავაძის ასულს აღარ დასცალდა თავის მზიანი ქვეყნის ხილვა. სამშობლოზე სევდამ იმსხვერპლა იგი.

ძვირფასი მეუღლის სიკვდილმა თავზარი დასცა ალექსანდრე ნიკოლაის. ამას დაემატა ფიქრი იმაზე, რომ სოფიო კიევში უნდა დაეკრძალა, ხოლო დაობლებული პატარა მაკა (მარიამი) საქართველოში ჩამოეყვანა ჭავჭავაძეთაგან ბოძებულ ბეთანიაში, და ერთხანს დაეტოვებინა კიდევ ბიძის დავითის მზრუნველობის იმედად. კიევში დაბრუნებისთანავე ბარონმა საყვარელი მეუღლის ცხედარი მშობლიურ ვიბორგში, თავის საყვარელ საგვარეულო სასაფლაოზე გადაასვენა, ტყისპირა ტბაში. მცირე კუნძულზე საგანგებოდ მისთვის გაკეთებულ აკლდამაში.

პოეტი-აკადემიკოსი ი. გრიშაშვილი ხომ მოუსვენარი მკვლევარიც იყო. ფინეთის ომის დროს მან ერთ-ერთ ჩვენს თანამემამულეს სთხოვა ეხახა ქართველი ქალის სოფიო ჭავჭავაძის საფლავი და ამოეწერა ქვაზე წარწერა. ამ წარწერის მიხედვით სოფიოს გარდაცვალებიდან 37 წლის შემდეგ, 1899 წელს, ანდერძის თანახმად ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაიც საყვარელი მეუღლის გვერდით დაუკრძალავთ.

რაც შეეხება მათ ქალიშვილს, მარიამ ნიკოლაის, იგი „თავადაზნაურთა კომიტეტის" წევრი გახლდათ და ცნობილი იყო როგორც მთარგმნელი და ქველმოქმედი. იგი თანამშრომლობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. 21 წლის მარიამი ცოლად გაჰყვა გიორგი შარვაშიძეს. მათი ერთადერთი ვაჟი დმიტრი საოცრად ჩამოგავდა პაპას — ალექსანდრე ჭავჭავაძეს. დმიტრის იურიდიული განათლება მიუღია, დიდხანს უცხოვრია სოხუმში, შემდეგ კი ოჯახით ურუსეთში გადასახლებულა. მარიამ ნიკოლაიშარვაშიძე 1917 წელს გარდაიცვალა.

ასეთია მოკლედ ამბავი კიდევ ერთი დამოყვრებისა.

ნინო ჩიხლაძე.

სურათზე: სოფიო ჭავჭავაძე.

რედაქტორის მოადგილე
გ. ნამყენები.

ფრიდონ ხალვაში

ლექსი მამულზე

ეს სიმღერა მთისაა და მინდვრის,
ეს ლოცვაა და ურთიერთხმობა.
მარად ახლდეს სიყვარულს და სინდისს
საქართველოს მთლიანობის გრძნობა.

ამ ჩემს მამულს ნაღვარევს და ნაღობს
ახსოვს მრავალად მტრობა, პყრობა, თბობა.
ვამწიფებდეთ გულში ოქროს ნაყოფს, —
საქართველოს მთლიანობის გრძნობას.

ვინც შორსაა, ვინაც დაგვრჩა გაღმა,
როგორც ნატვრა, იმედი და თმენა,
ვზიდოთ მუდამ თან (მშობელმა ხალხმა)
უმისობა, რადგან ისიც ჩვენ ვართ.

არ მომკვდარა და არც სძინავს, ცოცხლობს
და ინახავს კაცობაში მთავარს, —
საქართველოს მთლიანობის ცოდნა
მუდამ, ყველგან იარაღად თან აქვს.

დღეს, ამ ლექსთა ურითმობის დროში,
უნდა იგრძნოს პატარამ და დიდმა,
რომ თუ ქვეყნის მთლიანობას მოშლი
დაირღვევა გულისცემის რითმაც.

კარგი ლექსი ციდან როდი ცვივა,
მასაც უნდა აკვანივით რწევა,
გულში თუ ზრდი, ბრწყინავს, როგორც ბრწყინავს
საქართველოს მთლიანობის რწმენა.



„ქომუნისტის" ფოტოკონკურსი
პირველი ნაბიჯები
კ. ბენძეხაძის ფოტო.

ᲡᲐᲑᲭᲝ

თემურ აფხაზავა მსოფლიო ჩემპიონია

კიევი, 24 სექტემბერი. (ტელეფონით „კომუნისტის" სპეც. კორ.). უკრაინის დედაქალაქში მთავრდება მსოფლიო ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში. მეორე დღეს მეჯიბრეებში ჩაებნენ კიდევ ხუთ წონითს კატეგორიაში მოსასპარეზენი. 74 კილოგრამამდე წონითს კატეგორიაში ზედიზედ ორი გამარჯვება მოიპოვა ჩვენმა მოსკოველმა თანამემამულემ მიხეილ მამიაშვილმა. მან პირველ წრეში კანადელი ჯეფ სტიუბინგი 2 წუთსა და 13 წამში წმინდად დაამარცხა. ამ ერთობ მოკლე დროში მიხეილი დაწინაურდა ანგარიშით 13:1. მეორე შეხვედრა მას მოუწია კარლ-ჰაინც ჰელბინგთან (გფრ). თავდაპირველად ამ ორთაბრძოლაში საკმაოდ დამაჯერებელი უპირატესობა მამიაშვილის მხარეს იყო (5:2), მაგრამ მეორე პერიოდში მეტოქემ შინიმუმამდე შეამცირა სხვაობა (4:5). ეს იყო და ეს. მამიაშვილმა საბოლოოდ თავის სასარგებლოდ დაამთავრა შერკინება და ორი წრის შემდეგ ლიდერთა შორის გაწილდათ (7 მომგებიანი ქულა). მის ქვეყნეულში ასევე 7 ქულა ჰქონდა იუგოსლავ კაროლ კასპს. ლიდერთა შორის არის აგრეთვე რუმინელი სტეფან რუსუ (6,5 ქულა). სხვა წონითს კატეგორიებში 2-2 წრის შემდეგ ლიდერობენ: **52 კგ** — ბენურ ფაშაიანი (სსრ კავშირი), ლუბომირ ცეკოვი (ბულგარეთი), აცუდი მიახარა (იაპონია) და ეროლ ქემანი (თურქეთი); **62 კგ** — ვიკკო ვანგელოვი (ბულგარეთი), რიშარდ შვერადი (პოლონეთი), რენე როდრიგესი (კუბა), მიროსლავ სტარეკი (ჩეხოსლოვაკია) და პანლი ლახტინენი (ფინეთი). ამ წონითს კატეგორიაში მოასპარეზე საბჭოთა ათლეტმა რაფიელ ნასიბულოვმა მეორე წრეში წააგო ვანგელოვთან და პირველობისათვის ბრძოლის შანსები გაიუარესა; **90 კგ** — იგორ კანგინი (სსრ კავშირი), ფრანკ ანდერსონი (შვეცია) და ათანას კომშეკი (ბულგარეთი); **მძიმე წონა** — ამ კატეგორიაში 7-7 ქულით დაწინაურდნენ ევგენი არტიუხინი (სსრ კავშირი) და ნიკოლა დინევი (ბულგარეთი). ზემოთ აღნიშნულ წონითს კატეგორიებში მსოფლიო ჩემპიონთა ვინაობა გაირკვევა კვირას, 25 სექტემბერს.

ახლა იმ წონითს კატეგორიებში მოასპარეზეთა შესახებ, რომლებიც დღეს გვიან ღამით დაამთავრებენ შეჯიბრებას. თემო ყაზარაშვილი (48 კგ) მესამე ადგილისათვის შეხვდება იაპონელ ფუმიკაძუ სასაკის. აქ პირველობისათვის ერთმანეთს შეხვდებიან ბრატან ცენოვი (ბულგარეთი) და მარკუს შერერი (გფრ). ჩვენ ადრე ვივარაუდეთ, რომ თემურ აფხაზავას (52 კგ) მეტოქე ფინალში რუმინელი იონ დრაიკა იქნებოდა, მაგრამ რუმინელს ბოლო ეტაპზე შედმა ლენარდ ლუნდელმა აჯობა და ამიტომ აფხაზავა გადამწყვეტ ორთაბრძოლას მასთან გამართავს. საბჭოთა ათლეტის კამილ ფატკულინის (57 კგ) მოწინააღმდეგე ფინალში იქნება იაპონელი მასაკი ეტო, ბულგარელი ანდრია დიმიტროვი (100 კგ) გადამწყვეტ ბრძოლას გამართავს იუგოსლავ ეჟეფ ტერტელიისთან. ფინალში გავიდა ფინელი მოჭიდავე ტაპიო სიპილა, რომლის მეტოქის ვინაობა, როცა ამ მასალას გადმოვცემდით, ჯერ კიდევ არ იყო გარკვეული.

უკანასკნელ სპორტ

გუშინ გვიან საღამოს ცნობილი გახდა 5 მსოფლიო ჩემპიონის ვინაობა. თავდაპირველად ჩვენს თანამემამულეზე, სახელოვან ქუთაისელ ფალავანზე თემურ აფხაზავაზე გიამბობთ. სამწუხაროდ, მისი მეტოქე ლენარდ ლუნდელი საჭიდაოდ არ გამოცხადდა და თეიმურაზ აფხაზავას გამარჯვება მიენიჭა. მან უკვე მეორედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის წოდება და ოქროს მედალი. ქართველმა ფალავანმა ფინალამდე ხუთივე შეხვედრა ბრწყინვალედ მოიგო და ამ შეჯიბრებაზე საბჭოთა სპორტსმენთაგან ჯერჯერობით ერთადერთია, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონის წოდება მოიპოვა. აფხაზავასა და მის მწვრთნელებს ილია ბობოხიძეს და ესტატე გოგლიჩიძეს გზეთ „კომუნისტის" ბეკითნელთა სახელით მივულოცეთ ეს, უაღრესად მნიშვნელოვანი გამარჯვება. რუსთაველმა თემო ყაზარაშვილმა (48 კგ) მესამე ადგილისათვის ორთაბრძოლაში იაპონელი სასაკი დაამარცხა წმინდად და ბრინჯაოს მედალს დაეუფლა. ამ შეხვედრაში ყაზარაშვილმა მართლაც იშვიათი ოსტატობა გამოავლინა, ელვის სისწრაფით მოქმედებდა ხალიჩაზე და სულ რაღაც 1 წუთსა და 27 წამში 13 მომგებიანი ქულა მოიპოვა. ამ წონითს კატეგორიაში მსოფლიო ჩემპიონის წოდება ბულგარელმა ბრატან ცენოვმა მოიპოვა. ოქროს მედალს დაეუფლა აგრეთვე იაპონელი მასაკი ეტო (57 კგ), რომელმაც ფინალში საბჭოთა სპორტსმენი კამილ ფატკულინი დაამარცხა. ასევე პირველობა იზეიმა ფინელმა ტაპიო სიპილამ (68 კგ.). ამ წონაში საბჭოთა მოჭიდავე გიორგი ერმილოვი მესამე იყო. 100 კგ წონითს კატეგორიაში მსოფლიო ჩემპიონის ვინაობა გვიან ღამით გახდა ცნობილი.

ჯ. ენუქიძე.

საბურნირო ორბიტა

ფრანკფურტი. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გრძელდება ევროპის ჩემპიონატი ქალთა და ვაჟთა გუნდებს შორის. საბჭოთა ნაკრებმა გუნდებმა ფინალური ტურნირის ორ-ორი მატჩი გამართეს. ქალებმა დაამარცხეს გფრ-ისა და ბულგარეთის ნაკრები გუნდები — 3:0 და 3:1, ვაჟებმა — ბულგარელები და იტალიელები — 3:0 და 3:1.

ჩიბებური. ხარკოვში მიმდინარეობს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი. გამოვლინდნენ ფინალისტები ერთეულთა და წყვილთა თანრიგში. ჩემპიონის ტიტულისათვის იბრძოლებენ მოსკოველი ა. ზვერევი და მინსკელი ს. ლეონუკი, დონეცკელი ელენე ელისეენკო და მოსკოველი სვეტლანა ჩერნევა. შერეულ წყვილთა თანრიგში ლვოველი ლარისა სავჩენკო და თბილისელი ვიქტორ ხურდა შეხვდებიან მოსკოველებს — ს. ჩერნევას და კონსტანტინე პუგაევს.

შავი ზღვა — ინტერკოსმოსი

სევასტოპოლი. შეჯამდა „სალუტ-7" ორბიტული სადგურის ეკიპაჟის ვ. ლიახოვისა და ა. ალექსანდროვის მონაწილეობით წარმატებით დამთავრებული საერთაშორისო კომპლექსური ექსპერიმენტის — „შავი ზღვა-ინტერკოსმოსის" პირველი შედეგები.

მეცნიერული კვლევა წარმოებდა შავი ზღვის ორ რაიონში ერთდროულად „სალუტ-7" ორბიტული სადგურიდან, ან-30 თვითმფრინავიდან, სამეცნიერო-კვლევითი გემებიდან, სტაციონარულ ოკეანოგრაფიის პლატფორმაზე, „მეტეორ-ბუნება" და „ინტერკოსმოს-ბულგარეთი — 1300" დედამიწის ხელოვნური თანამგზავრებიდან. მასში მონაწილეობდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის, პოლონეთის, რუმინეთისა და საბჭოთა კავშირის მეცნიერები და სპეციალისტები, რომლებმაც გამოიყენეს უახლესი მრავალარხიანი და მრავალზონალური ფოტოკამერები, სპექტრომეტრები, სოციალისტურ ქვეყნებში დამზადებული სხვა უნიკალური მოწყობილობა. რატომ აირჩიეს ამ სამუშაოებისათვის შავი ზღვა? უპასუხა რა ამ კითხვას, ექსპერიმენტის ხელმძღვანელმა, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროგრაფიის საზღვაო ინსტიტუტის განყოფილების გამგე ი. ტერეხოვმა თქვა:

— დიდი სიღრმისა და მძიმე ნელოვანი ზომის გამ